პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. Сталина

გამოცემის მეხუთე წელი

№ 9 (145)
შაბათი
31
მარტი
1956 წ.
ფასი 20 კაპ.

საბჭოთა სტუდენტი

საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად საქართველოს მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები და აქტიურად ჩაებნენ მათი განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულია სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები. დირექტივებით გათვალისწინებულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა საერთო გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება.

ეს გარემოება აყენებს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი, აამაღლონ მეცნიერებათა საფუძვლების გადაცემის ხარისხი. უმაღლესმა სასწავლებლებმა ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება, მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა უნდა დაუქვემდებარონ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა სპეციალისტთა კომუნისტურ აღზრდას. საჭიროა სტუდენტებს გამოვუმუშაოთ კომუნისტური მორალის ძვირფასი თვისებები, განვუვითაროთ საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, აღვზარდოთ ისინი საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 10 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც სწავლობს 42 ათასამდე სტუდენტი. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ სასწავლებლებმა 10 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვეს. ისინი ამჟამად თავდადებულად მუშაობენ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში — ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა აყალიბებს ჩვენს სტუდენტებს მთელი თავიანთი ჭაბუკური გზნება და უშრეტი ენერგია მოახმარონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დაუფლების საქმეს, ბეჯითად, შეუპოვრად ისწავლონ, წარმატებით მოემზადონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე დამოუკიდებელ მუშაობაში ჩასაბმელად.

ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, მათი ხელმძღვანელების, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში დაბალ დონეზე დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ზოგიერთი სტუდენტი ხშირად აცდენს ლექციებსა და სემინარებს, უდროდ აბარებს საგნებს, იჩენს უდისციპლინობას, არ ასრულებს სასწავლებლის შინაგანაწესს, უხეშად ექცევა პროფესორ-მასწავლებლებსა და უფროსებს.

„კომუნისტის" 27/III მოწინავე

ცოტა როდია სტუდენტთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ლოთობისა და ამორალური ქცევის შემთხვევები. მარტო გასულ სასწავლო წელს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტიდან 18 სტუდენტი გაირიცხა აკადემიური ჩამორჩენილობისა და დისციპლინის დარღვევისათვის. დისციპლინის უხეში დარღვევისა და ხულიგნური მოქმედების შემთხვევებია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან მიმდინარე სასწავლო წელს გარიცხულ იქნა კომკავშირელი გ. ნიკოლაიშვილი, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის ამხანაგს. ხულიგნური მოქმედებისა და წესრიგის დარღვევის ფაქტებს აქ სხვა ფაკულტეტებზეც ვხვდებით.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დიდი უმრავლესობა კომკავშირლებია. ეს გარემოება დიდ მოვალეობას აკისრებს კომკავშირულ ორგანიზაციებს სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში.

სამწუხაროდ, კომკავშირული ორგანიზაციები მხოლოდ შემთხვევითი ღონისძიებებით კმაყოფილდებიან, ცოცხალ, ინიციატივიან მასობრივ მუშაობას ხშირად ცვლიან [illegible] ფუსფუსით, მოსაწყენი დარიგებებით. მათ მუშაობაში თავს იჩენს ხოლმე ფორმალიზმი.

კომკავშირული ორგანიზაციის ცუდ მუშაობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტის ერთი ჯგუფი, რომელშიც 24 კომკავშირელი ირიცხება, ამას წინათ არ გამოცხადდა ლაბორატორიულ მეცადინეობაზე და კინოში წავიდა.

სტუდენტთა შორის არადამაკმაყოფილებელი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია ისიც, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უარს აცხადებს განაწილების მიხედვით რაიონში ან სხვა რესპუბლიკაში სამუშაოდ წასვლაზე. მაგალითად, ჯერ კიდევ არ წასულა სამუშაოზე 31 ექიმი, რომლებმაც გასულ წელს დაამთავრეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

საბჭოთა სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი აგებულია სწავლისა და აღზრდის ერთიანობის პრინციპზე. საჭიროა ისე მოვაწყოთ სასწავლო პროცესი, რომ თვითეული ლექცია, თვითეული მეცადინეობა ემსახურებოდეს სტუდენტთა არა მარტო აკადემიურ მომზადებას, არამედ მათს კომუნისტურ აღზრდასაც. ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტის ზოგი პროფესორი და მასწავლებელი მხოლოდ ლექციების წაკითხვას სჯერდება და არ მონაწილეობს სტუდენტთა აღზრდის საქმეში, არ იჩენს ინტერესს სტუდენტთა ცხოვრებისა და საქმიანობისადმი. ასეთი მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა ინსტიტუტებშიც.

სტუდენტთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. მაგრამ მთელ რიგ ინსტიტუტებში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, პოლიტიკურ ეკონომიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმსა და სხვა დისციპლინებში ზოგიერთი ლექცია და სემინარი დაბალ იდეურ დონეზე ტარდება, მოწყვეტილია ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მუშაობა. მათ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას, ნათლად უჩვენონ ისტორიაში ხალხთა მასების გადამწყვეტი როლი და აწარმოონ შეურიგებელი ბრძოლა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის.

მთავარი პასუხისმგებლობა სტუდენტთა აღზრდის საქმეში უმაღლესი სკოლების პარტიულ ორგანიზაციებს ეკისრებათ. მაგრამ მათი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებაში — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცუდად მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები აგრეთვე მთელ რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. პარტიის რაიონული კომიტეტები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ უმაღლესი სკოლების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ბრძოლას.

პარტიისა და მთავრობის მიერ უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა აუცილებლად პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გადაჭრით გააუმჯობესონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტ ახალგაზრდობას შორის.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლა მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს ჩვენს ყოველდღიურობას, ახალგაზრდობის იდეოლოგიური აღზრდის ყოველმხრივი გაუმჯობესების საქმეს.

უმაღლესი სასწავლებლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა სტუდენტების აღზრდა კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან დაეწყოთ ლექციების კითხვა ზოგად ფიზიკაში.

გარდა ლექციების მოსმენისა, სტუდენტები საინტერესო პრაქტიკულ სამუშაოებს ატარებენ ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიაში.

სურათზე: მექანიკა-მათემატიკის II კურსის სტუდენტები ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

სემინარი შეუდგა ყრილობის მასალების შესწავლას

ქიმიის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომლები მთელი სერიოზულობით ეკიდებიან თავიანთი იდეურ პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეს. მათი სურვილის გათვალისწინებით მიმდინარე სასწავლო წელს ფაკულტეტზე შეიქმნა და მუშაობს პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარი (ხელმძღვანელი — დოც. ი. გურგენიძე).

სემინარს თავისი მუშაობა დაგეგმილი აქვს ორი წლის სწავლების კურსით. იგი აერთიანებს ფაკულტეტის 24 მეცნიერ-თანამშრომელს. მათ შორის 16 მსმენელი პარტიის წევრია, დანარჩენი კი უპარტიოა.

სემინარზე მსმენელები სწავლობენ პოლიტიკურ ეკონომიას. ისინი წინასწარ მოცემულ თემაზე ამზადებენ და სემინარზე კითხულობენ რეფერატებს. მეცადინეობა ტარდება ორკვირაში ერთხელ. დღეისათვის სემინარზე შესწავლილია 9 თემა. ამჟამად სემინარი მუშაობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლაზე. უკვე ჩატარებულია ორი მეცადინეობა. პირველი მეცადინეობა ჩატარდა თემაზე — „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა". ამ საკითხზე მოხსენება წაიკითხა უფროსმა ლაბორანტმა ე. გრიგოლიამ. თემა კარგად იყო მომზადებული. მის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დოცენტებმა ნ. ფირცხალავამ, შ. შარაშენიძემ, ა. ვარდუკაძემ, მეცნიერების კანდიდატმა ი. ბეგენავამ, ასისტენტმა შ. ხენდაძემ და სხვ.

მეორე მეცადინეობის თემა იყო „საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა" ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა დოც. შ. შარაშენიძემ.

მორიგი მეცადინეობისათვის მოხსენებას მოამზადებს სემინარის მსმენელი ა. გუგუნავა.

სემინარს თავის მუშაობაში ქმედით დახმარებას უწევს ფაკულტეტის პარტბიურო. აღნიშნული სემინარის მუშაობა ხშირად შუქდება ფაკულტეტის კედლის გაზეთის „საბჭოთა ქიმიკოსის" ფურცლებზე.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის წინ

მეტად საპატიო და სერიოზულია ის ამოცანა, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას აკისრია. ჩვენი სამეცნიერო წრეები მიწოდებული არიან სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით საინტერესო გახადონ მუშაობა, ფართოდ მიიზიდონ სტუდენტ-ახალგაზრდობა. ამ მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, რომელთა სხდომებზე ბევრი საყურადღებო მოხსენება იქნა წაკითხული. უფროსკურსელებთან ერთად წრეში მოხსენებებით გამოდიან პირველი და მეორე კურსის სტუდენტებიც.

ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომები ცალკეულ შემთხვევებში რუსულ ენაზე ტარდება. ამისი მიზანი ისაა, რომ სტუდენტები შეეჩვიონ მოხსენებათა რუსულ ენაზე გაკეთებას, რომ ისინი უკეთ დაეუფლონ რუსულ ენას.

ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა ადრე დაიწყეს მზადება მე-18 სამეცნიერო კონფერენციისათვის. მათი მიზანია კონფერენციაზე შინაარსიანი, საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ. კონფერენციაზე მოხსენებებს წაიკითხავენ: მეორეკურსელი ლ. რცხილაძე, მესამეკურსელი გ. გოგინეიშვილი, მეოთხეკურსელები — რ. ახვლედიანი, გ. ნადარეიშვილი, ა. ყანჩაველი, მეხუთეკურსელები — თ. პაპიაშვილი, რ. კვერენჩხილაძე და სხვ. მეოთხეკურსელი ე. მამაცელი მოხსენებას წაიკითხავს რუსულ ენაზე.

სამი წლის წინათ ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა შეკრებილიყო, საქმიანი კავშირი დაემყარებინა რესპუბლიკის რომელიმე პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებასთან. ჩვენი არჩევანი ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტზე შეჩერდა. უკვე მეორე წელია, რაც ამ ორი ფაკულტეტის სტუდენტთა გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენციები ტარდება.

ჩვენი გაერთიანებული, რიგით მეორე, კონფერენცია მიმდინარე წელს ჩვენთან, უნივერსიტეტში ტარდება. იგი დაიწყო 29 მარტს და გაგრძელდება სამ დღეს. კონფერენციაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები: „ცეცხვათის ტბორის გეომორფოლოგიური დახასიათება", „იმერეთის კარსტული მასივის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის", „ახალციხის დეპრესიის გეოლოგიური აგებულება", „ქ. ქუთაისის მრეწველობა", „სოფ. ზოდის გამოქვაბულები", „ქუთაისის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება" და სხვ.

მოხსენებებით გამოვლენ ქუთაისის ინსტიტუტის სტუდენტები: გ. დათუშიძე, ო. ჩხეიძე, ლ. ნემსიწვერიძე, ე. სირბილაძე, ქ. ლანჩავა და გ. ჭელიძე. უნივერსიტეტიდან მოხსენებებს წაიკითხავენ: შ. ბერიძე, ც. მაისურაძე, ზ. ვერველია, ა. ვაჟა, ნ. ჟორდანია და რ. ცხვედაძე.

კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობენ პროფ. ივ. კაჭარავა და უფროსი მასწავლებელი ა. თვალთვაძე.

რ. კვერენჩხილაძე

რატომ არის უცხო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პიროვნების კულტი?

„პრავდის" 28/III სარედაქციო სტატია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, რომელმაც შეიმუშავა კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის გრანდიოზული პროგრამა, ღრმა მარქსისტულ-ლენინური გაშუქება მიეცა იმ საკითხს, თუ რა გადამწყვეტ როლს ასრულებენ სოციალისტურ მშენებლობაში ხალხის მასები, რომლებსაც პარტია ხელმძღვანელობს, და რა ზიანი მოაქვს პიროვნების კულტს. ყრილობამ გადაჭრით დაგმო პიროვნების კულტი როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო.

პარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია:

„კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას. ყრილობას მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად გამოვიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება ამცირებდა პარტიისა და ხალხის მასების როლს, ამცირებდა პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და ხშირად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში, და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს არ შეასუსტოს ბრძოლა პიროვნების კულტის ნაშთების წინააღმდეგ, მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდოს ის, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედები არიან ხალხის მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მოიწონა მთელმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა.

რატომ გააჩაღა ჩვენმა პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა პიროვნების კულტისა და მისი შედეგების წინააღმდეგ? იმიტომ, რომ პიროვნების კულტი ნიშნავს ცალკეული ადამიანების უზომოდ განდიდებას, მათთვის ზებუნებრივი ნიშნებისა და თვისებების მიკუთვნებას, მათ გადაქცევას თითქმის სასწაულთმოქმედებად და მათდამი თაყვანისცემას. ასეთი არასწორი, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო წარმოდგენა ადამიანზე, სახელდობრ ი. ბ. სტალინზე, შეიქმნა და ინერგებოდა ჩვენში მრავალი წლის მანძილზე.

უდავოა, რომ ი. ბ. სტალინს დიდი დამსახურება აქვს ჩვენი პარტიის, მუშათა კლასის წინაშე და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე. საყოველთაოდ ცნობილია მისი როლი სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში, სამოქალაქო ომში, სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ეკავა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დიდმნიშვნელოვანი პოსტი, ი. ბ. სტალინი დაწინაურდა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა რიცხვში. იგი აქტიურად, განსაკუთრებით პირველ წლებში ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად იბრძოდა ლენინიზმისათვის, ლენინური მოძღვრების დამამახინჯებლებისა და მტრების წინააღმდეგ. სტალინი იყო ერთ-ერთი უძლიერესი მარქსისტი, მისი შრომები, მისი ლოგიკა, ნებისყოფა დიდ ზეგავლენას ახდენდა კადრებზე, პარტიის მუშაობაზე.

ხელმძღვანელობდა რა დიდი ლენინის მოძღვრებით, პარტიამ ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით დიდი მუშაობა გააჩაღა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის და მოიპოვა ყველასათვის ცნობილი ისტორიული გამარჯვებანი. ეს გამარჯვებანი პარტიამ მოიპოვა შეურიგებელი იდეური ბრძოლით ლენინიზმისადმი სხვადასხვა მტრულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა — ტროცკისტების, ზინოვიეველების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ. ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა აეცდინა პარტია ერთადერთი სწორი ლენინური გზიდან. იმ დროს სტალინმა მოიპოვა პოპულარობა პარტიაში, მისი სიმპათია და მხარდაჭერა, ცნობილი გახდა ხალხში. მაგრამ თანდათან თავს იჩენდა ის ნიშნები და თვისებები სტალინის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში, რომლებიც შემდეგ გადაიქცა პიროვნების კულტად. პიროვნების კულტი წარმოიშვა და განვითარდა მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდეს ისტორიულ მონაპოვართა, სოციალიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის უდიდეს წარმატებათა, სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების, ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის ფონზე. ამ გიგანტურ წარმატებებს ახალი საზოგადოების მშენებლობაში, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ აღმოჩენილ ისტორიულ კანონზომიერებათა საფუძველზე, საკმარისად სწორი მარქსისტულ-ლენინური განმარტება არ ეძლეოდა და მათ უმართებულოდ მიაწერდნენ ერთი ადამიანის — სტალინის დამსახურებას და ხსნიდნენ მისი როგორც ხელმძღვანელის რაღაც განსაკუთრებული ღირსებებით. არ ჰქონდა რა პირადი თავმდაბლობა, იგი არათუ არ ალკვეთდა იმ ხოტბასა და ქება-დიდებას, რომლებიც მისი მისამართით გაისმოდა, არამედ ყოველნაირად უჭერდა მხარს და ყოველი ღონისძიებით აქეზებდა ამას. დროთა განმავლობაში პიროვნების ამ კულტს სულ უფრო მახინჯი ფორმები ეძლეოდა და მან სერიოზული ზიანი მიაყენა საქმეს.

თავისთავად იგულისხმება, რომ ი. ბ. სტალინის ამგვარი პრაქტიკა ნიშნავდა ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დარღვევას და ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებისათვის — მარქსის, ენგელსისა და ლენინისათვის უაღრესად უცხო და ანტიპათიური იყო პიროვნების კულტის რაიმე გამოვლინება. ისინი ძირშივე ალკვეთდნენ მათი პირადი განდიდების ყოველგვარ ცდას, საიდანაც უნდა ყოფილიყო ეს ცდა. მაამებლობა, ამბობდა მარქსი, ჩემში ყველაზე მეტ ზიზღს იწვევსო.

მარქსი და ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდნენ და დასცინოდნენ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის პატივმოყვარეობასა და ყოყოჩობას. ისინი, მაგალითად, მწარედ დასცინოდნენ ლასალის წვრილბურჟუაზიულ თვისებებს, მის „ქვეხარა თვითგანდიდებას", მის მისწრაფებას „მოსჩვენებოდა თავის თავს არაჩვეულებრივად დიდმნიშვნელოვან პიროვნებად", ისინი გადაჭრით ილაშქრებდნენ ლასალიანელთა განზრახვის წინააღმდეგ შეექმნათ „ლასალის მაამებლური კულტი".

გერმანელი პოლიტიკური მოღვაწის ვილჰელმ ბლოსისადმი წერილში მარქსი წერდა: „...პიროვნების ყოველგვარი კულტისადმი მტრული დამოკიდებულების გამო მე ინტერნაციონალის არსებობის დროს არასოდეს არ ვაძლევდი ნებას გამოექვეყნებინათ მრავალი მიმართვა, რომლებითაც აღიარებული იყო ჩემი დამსახურება და რომლებითაც თავს მაბეზრებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან, — მე არც კი ვუპასუხებდი მათზე, შეიძლება მხოლოდ იშვიათად ვტუქსავდი ამ მიმართვებისათვის. ენგელსისა და ჩემი პირველი შესვლა კომუნისტთა საიდუმლო საზოგადოებაში მოხდა იმ პირობით, რომ წესდებიდან ამოღებული იქნებოდა ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ცრუმორწმუნეობრივ თაყვანისცემას ავტორიტეტთა წინაშე (ლასალი შემდეგ სწორედ პირიქით იქცეოდა)". (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., 1-ლი გამოც., ტომი XXVI, გვ. 487-488).

ენგელსმა, პასუხად წინადადებისა მოეწყოთ მისი დაბადების 71 წლისთავის გამო მუსიკალური პატივისცემა, უპასუხა მის მომწყობთ: „მარქსიც და მეც მუდამ წინააღმდეგი ვიყავით ყოველგვარი საჯარო დემონსტრაციისა ცალკეული პირების მიმართ, გარდა მხოლოდ იმ შემთხვევებისა, როცა ამას რაიმე მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა; ყველაზე მეტად კი ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით ისეთი დემონსტრაციებისა, რომლებიც ჩვენს სიცოცხლეში პირადად ჩვენ გვეხებოდა". (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტომი XXVIII, გვ. 385).

ცნობილია ვ. ი. ლენინის სიტყვა, წარმოთქმული კრებაზე, რომელიც მოაწყო პარტიის მოსკოვის კომიტეტმა მისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო. ამ სიტყვაში ვლადიმერ ილიას-ძე თხოულობდა, რომ იგი გაეთავისუფლებინათ საიუბილეო სიტყვების მოსმენისაგან, „ამიერიდან საზოგადოდ გაგვათავისუფლონ ამგვარი საიუბილეო დღესასწაულებისაგან". ლენინი ლაპარაკობდა ყველა გაამპარტავნებული ადამიანის სულელურ, სამარცხვინო და სასაცილო მდგომარეობაზე და გვაფრთხილებდა, რომ ბრწყინვალე გამარჯვებებსა და წარმატებებს არავითარ შემთხვევაში არ ჩაეყენებინათ ჩვენი პარტია „ძალიან სახიფათო მდგომარეობაში... სახელდობრ, იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელიც გაამპარტავნდა". (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30, გვ. 645).

ყველასათვის ცნობილია ვლადიმერ ილიას-ძის უდიდესი თავმდაბლობა და უბრალოება. მ. გორკის მოჰყავს სორმოველი მუშის სიტყვები, რომელმაც მის კითხვაზე, თუ რა არის ვ. ი. ლენინის ყველაზე დამახასიათებელი თვისება, უპასუხა: „უბრალოება. უბრალოა, როგორც სიმართლე". უბრალოება ის ღირსებაა, რომელსაც მარქსიც, მისი საკუთარი სიტყვებით, ყველაზე მეტად აფასებდა ადამიანებში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ი. ბ. სტალინის თხზულებებში არ იყოს აზრები, რომლებიც გმობენ პიროვნებათა გაუმართლებელ შექებას და მასების როლის დამცირებას. ეს აზრები, როგორც წესი, არ სცილდებოდა ზოგადი, განყენებული მსჯელობის ფარგლებს, საქმით კი არავითარი წინააღმდეგობა არ ეწეოდა პირადი განდიდების სულ უფრო მზარდ პრაქტიკას, რომელსაც იგი თვითონ ყოველნაირად ახალისებდა, ხოლო ხშირად ეს პრაქტიკა თვითგანდიდების ფორმით გამოდიოდა.

* * *

იყვნენ რა საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნელნი, თავიანთი დამსახურების შეფასებაში მორიდებულნი, მარქსი, ენგელსი, ლენინი დაუცხრომლად ამხილებდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგების ყველა ცდას თეორიულად დაესაბუთებინათ ცალკეულ პიროვნებათა კულტი. ისინი „გმირისა და ბრბოს" იდეალისტურ თეორიებს უპირისპირებდნენ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, რომლის თანახმად მხოლოდ ხალხი, მშრომელი მასები არიან ისტორიის ნამდვილი და ჭეშმარიტი შემოქმედნი.

მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემუშავებისას, მუშათა კლასის როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებლის მსოფლიო-ისტორიული როლის გამორკვევისა და დასაბუთებისას მარქსიზმი შეურიგებლად იბრძოდა არასწორ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ისტორიას თითქოს ქმნიან გამოჩენილი პიროვნებანი.

ისტორიაზე ამ არასწორ შეხედულებებს მარქსიზმ-ლენინიზმმა დაუპირისპირა მოძღვრება იმის შესახებ, რომ ხალხია ისტორიის ნამდვილი შემოქმედი და, რაც უფრო ღრმად და ფართოდ ხდება საზოგადოებრივი გარდაქმნები, ხალხის მით უფრო მრავალრიცხოვანი მასები იღებენ მათში მონაწილეობას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც გიგანტური გავლენა იქონია მსოფლიო ისტორიის მთელ შემდგომ მსვლელობაზე, მოახდინა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირში და საშუალო გლეხობის მხარდაჭერით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ეს რევოლუცია მოახდინა ხალხის უმრავლესობამ, და ამიტომ არის იგი სახალხო რევოლუცია. ასეთივე სახალხოა ჩინეთის დიდი რევოლუცია, რევოლუციური სოციალისტური გარდაქმნები, რომლებიც მოხდა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში.

ავითარებდა რა ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, რომელიც მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს, ვ. ი. ლენინი მთელ თავის სიცოცხლეში შეურიგებლად ებრძოდა მარქსიზმისადმი მტრულ ნაროდნიკულ, ხოლო შემდეგ ესერულ შეხედულებებს „ყოვლისშემძლე გმირების" და უფერული, უსახო, უმოქმედო „ბრბოს" შესახებ.

„მარქსიზმი, — წერს ლენინი, — იმით განსხვავდება ყველა სხვა სოციალისტური თეორიისაგან, რომ იგი საუცხოოდ აერთებს საქმის ობიექტური მდგომარეობისა და ევოლუციის ობიექტური მსვლელობის ანალიზის სრულ მეცნიერულ სიფხიზლეს და მასების რევოლუციური ენერგიის, რევოლუციური შემოქმედების, რევოლუციური ინიციატივის მნიშვნელობის გადაჭრით აღიარებას, — აგრეთვე, რა თქმა უნდა, იმ ცალკეულ პიროვნებათა, ჯგუფთა, ორგანიზაციათა და პარტიათა მნიშვნელობის აღიარებას, რომელთაც უნარი შესწევთ მოსინჯონ და განახორციელონ კავშირი ამა თუ იმ კლასებთან". (თხზ., ტომი 13, გვ. 29).

ისტორიაში პიროვნების როლისა და მასების როლის სწორი გაგებისათვის ბევრი რამ გააკეთა ერთ-ერთმა გამოჩენილმა მარქსისტმა გ. ვ. პლეხანოვმა, რომლის აზრით სწორი არ იქნება მივიჩნიოთ, რომ ისტორია არის გამოჩენილ პიროვნებათა საქმე, რომლებიც თვითნებურად უნერგავენ ცნებებს გაუნათლებელ მორჩილ მასას: ისტორიას, ამბობდა იგი, ხალხი აკეთებს.

მარქსიზმი არ უარყოფს გამოჩენილ ადამიანთა როლს ისტორიაში, მშრომელთა ბელადების როლს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობაში, ახალი საზოგადოების მშენებლობაში. ვ. ი. ლენინმა მთელი ძალით აღნიშნა რევოლუციური ბელადების, როგორც მასების ორგანიზატორების როლი. ისტორიის მატერიალისტური გაგება, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შეიმუშავეს, იმის აღიარება, რომ მშრომელი მასები, ხალხი არიან ახალი საზოგადოების შემოქმედნი, საშუალებას გვაძლევს სწორად გავიგოთ და შევაფასოთ ბელადების, ორგანიზატორების, თაოსნების, გმირების როლი, რომლებსაც ქმნის და აწინაურებს თვით ხალხი. გამოჩენილ პიროვნებებს, თავიანთ თავისებურებათა მეოხებით, რაც მათ ყველაზე უნარიანს ხდის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სამსახურისათვის, შეუძლიათ სერიოზული როლი შეასრულონ საზოგადოებაში როგორც მასების ორგანიზატორებმა, წინამძღოლებმა, რომლებსაც მოვლენები ესმით უფრო ღრმად და ხედავენ უფრო შორს, ვიდრე სხვები.

ამხილებდა რა წვრილბურჟუაზიულ, მონარქისტო ინტელიგენტ-რადიკალებს, რომლებიც ილაშქრებდნენ პარტიის ორგანიზატორული როლისა და ავტორიტეტის წინააღმდეგ, ლენინი ამბობდა:

„მუშათა კლასს, რომელიც მთელ მსოფლიოში აწარმოებს ძნელსა და შეუპოვარ ბრძოლას სრული განთავისუფლებისათვის, — ავტორიტეტები ესაჭიროება, — მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ აზრით, რა აზრითაც ახალგაზრდა მუშებს ესაჭიროებათ ძველ **მებრძოლთა** გამოცდილება ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, — იმ მებრძოლთა, რომლებსაც მრავალი გაფიცვა ჩაუტარებიათ, მონაწილეობა მიუღიათ მთელ რიგ რევოლუციებში და რომელნიც გამობრძმედილან რევოლუციური ტრადიციებით და ფართო პოლიტიკური თვალთახედვით. პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლის ავტორიტეტი ესაჭიროება ყველა ქვეყნის პროლეტარებს... თვითეული ქვეყნის მოწინავე შეგნებული, უშუალოდ მებრძოლი მუშების კოლექტიურობა ყველა ასეთს საკითხში ყოველთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი იქნება". (თხზ., ტომი 11, გვ. 497-498).

საბჭოთა ხალხის ბელადი და ორგანიზატორი მის ბრძოლაში ახალი საზოგადოებისათვის არის კომუნისტური პარტია, რომელიც შედგება მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე ნაწილისაგან, ხოლო პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელი, მისი პრინციპების

(დასასრული მე-3 გვერდზე).

რატომ არის უცხო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პიროვნების კულტი?

(დასასრული).

დამცველი და განმმარტებელი არის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ირჩევენ პარტიის საუკეთესო ძალებისაგან, რომლებიც ერთ მთლიანობად აერთიანებენ მის მრავალმხრივ გამოცდილებას.

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს უფლება აქვთ იამაყონ სახელმწიფო მშენებლობის, ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში თავიანთი თავდადებული შრომის, თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობის დიდი ნაყოფით. საბჭოთა კავშირის, ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საშინაო და საგარეო მდგომარეობა ახლა უფრო მტკიცე და ურყევია, ვიდრე ოდესმე.

საბჭოთა წყობილების დიადმა ძალამ, სოციალისტური სისტემის გიგანტურმა უპირატესობებმა საშუალება მისცეს პარტიას, სახელმწიფოს, ხალხს დაესახათ მეექვსე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ამოცანები, რომლებმაც თავისი გრანდიოზულობით განაცვიფრეს მთელი მსოფლიო, და შესდგომოდნენ ამ ამოცანების შესრულებას.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, ხალხის დაუცხრომელი სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, მთელი საბჭოთა საზოგადოების ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა წყობილების, მისი ძლიერებისა და აყვავების გრანიტის საფუძველია. ბრძნული ხელმძღვანელობა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ლენინური გზით, იყო, არის და იქნება საბჭოთა საზოგადოების ძალისა და სიმტკიცის წყარო, საბჭოთა საზოგადოებისა, რომელიც განუხრელად მიდის წინ თავისი დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

• • •

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და ბელადი ვ. ი. ლენინი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიის როლს საბჭოთა სახელმწიფოსადმი და სოციალისტური მშენებლობის მთელი მსვლელობისადმი ხელმძღვანელობაში. აღნიშნავდა რა კომუნისტური პარტიის, როგორც ჩვენი ქვეყნის მმართველი პარტიის, დიდ პასუხისმგებლობას, ლენინი ზუსტად იცავდა თვითონ და მოითხოვდა ყველა კომუნისტისაგან დაეცვათ პარტიული ცხოვრების ნორმები და ხელმძღვანელობის პრინციპები, რომლებიც პარტიამ დიდი გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა. უმთავრესი ამ პრინციპებში არის **ხელმძღვანელობის კოლექტიურობა**, რომელიც გამომდინარეობს თვით პარტიის ბუნებიდან, პარტიისა, რომელსაც საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმი, სადაც შეხამებულია პარტიის წევრთა აქტივობა, ინიციატივა და თვითშემოქმედება რკინისებურ დისციპლინასთან. ლენინი ამბობდა, რომ რევოლუცია წამოაყენებს „კოლექტიურ ორგანიზატორულ ტალანტს, ურომლისოდაც პროლეტარების მილიონიანი არმიები ვერ მიაღწევენ გამარჯვებას". (თხზ., ტომი 29, გვ. 97).

პიროვნების კულტმა და ი. ბ. სტალინის სიცოცხლისა და მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში ამ კულტის გავლენით შექმნილმა ხელმძღვანელობის პრაქტიკამ დიდი ზიანი მოგვაყენა. სტალინი რომ უგულებელყოფდა პარტიული ცხოვრების ნორმებს და პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპს, ხშირად ერთპიროვნულად რომ წყვეტდა საკითხებს, ეს იწვევდა პარტიული პრინციპებისა და პარტიული დემოკრატიის დამახინჯებას, რევოლუციური კანონიერების დარღვევას, დაუსაბუთებელ რეპრესიებს.

მხოლოდ პიროვნების კულტის შედეგად და პარტიული ცხოვრების ნორმების იმ დარღვევათა შედეგად, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ კულტთან, შეძლეს იმპერიალიზმის ისეთმა პირწავარდნილმა აგენტმა, როგორიც იყო ბერია, და მისმა თანამზრახველებმა გამძვრალიყვნენ ხელმძღვანელ პოსტებზე პარტიასა და სახელმწიფოში. იმ გარემოებამ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაამჟღავნა და გაანადგურა ბერიას საზიზღარი, გამცემლური ბანდა, შესაძლებელი გახადა აღმოფხვრა სოციალისტური კანონიერების დარღვევანი და სავსებით აღგვედგინა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, სოციალისტური კანონიერების ნორმები და პრინციპები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის XX ყრილობის მტკიცე გამოსვლას პიროვნების კულტის წინააღმდეგ, ამ კულტის მავნეობის თანმიმდევრულ, ფართო ახსნა-განმარტებას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეგულარული მოწყობა, პარტიის სხვა უმაღლესი ორგანოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების სისტემატური მუშაობა, კოლექტიურ გადაწყვეტილებათა ფართო განხილვა და შემუშავება უცილობელი წესია ჩვენი პარტიისა, რომელიც პასუხისმგებელია დიდი სახელმწიფოს, ხალხის ბედისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

„მასას,—გვასწავლიდა ლენინი, — უნდა ჰქონდეს თავისი პასუხისმგებელი ხელმძღვანელების არჩევის უფლება. მასას უნდა ჰქონდეს მათი შეცვლის უფლება, მასას უნდა ჰქონდეს უფლება იცოდეს და შეამოწმოს მათი მოღვაწეობის ყოველი, თვით უმცირესი ნაბიჯიც კი. მასას უნდა ჰქონდეს უფლება წამოაყენოს მასის გამოუკლებლივ ყველა მუშა წევრი განმკარგულებელ ფუნქციებზე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კოლექტიური შრომის პროცესის დატოვება შეიძლებოდეს განსაზღვრული ხელმძღვანელობის გარეშე, ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ზუსტად დადგენის გარეშე, ხელმძღვანელის ნებისყოფის ერთიანობით შექმნილი უსასტიკესი წესრიგის გარეშე". (თხზ., ტ. 27, გვ. 245).

ვიბრძვით რა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, უნდა გვახსოვდეს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხოა წვრილბურჟუაზიული, ანარქისტული შეხედულებანი, რომლებიც უარყოფენ მასების ხელმძღვანელების, ორგანიზატორების როლს. სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება გვასწავლის, რომ ხელმძღვანელობის კოლექტიურობის, სოციალისტური დემოკრატიზმის ფართო განვითარების პრინციპი სრულიადაც არ უარყოფს ცალკეული ხელმძღვანელის როლსა და პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. აგრეთვე ცნობილია, რომ კომუნისტური პარტია იცავდა და იცავს ხელმძღვანელობის ერთმმართველობის პრინციპს საწარმოებში, სამხედრო საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად, პარტიის ყველა რგოლში, თავიდან ბოლომდე, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის აღსადგენად, თვითკრიტიკისა და ნაკლოვანებათა კრიტიკის გასაშლელად, უმნიშვნელოვანეს საკითხთა კოლექტიური განხილვისა და გადაწყვეტისათვის.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენამ და პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლამ მშრომელთა ფართო მასების აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის უმაგალითო აღმავლობა გამოიწვია. ეს კეთილმყოფელ გავლენას ახდენს მთელ ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე.

პიროვნების კულტი ხელს უწყობდა იმას, რომ პარტიული და სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელობაში გავრცელებულიყო მანკიერი მეთოდი — შიშველი ადმინისტრირება, ნერგავდა ქვემოდან მომდინარე ინიციატივის უგულებელყოფას. მაგალითად, სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში. ამ შეცდომებმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების უყურადღებოდ მიტოვება. ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ცნობილია, ამხილა ეს შეცდომები და განახორციელა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, რაც უკვე გვაძლევს კარგ შედეგებს.

პიროვნების კულტის შედეგად ვითარდებოდა ისეთი მახინჯი მოვლენები, როგორიც არის ნაკლოვანებათა მიჩქმალვა, სინამდვილის შელამაზება, თვალის ახვევა. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია მლიქვნელი, მეალილუე, ადამიანები, რომლებიც შეეჩვივნენ შპარგალით ლაპარაკს, რომლებიც აღზრდილი არიან პირფერობისა და მორჩილების სულისკვეთებით. პიროვნების კულტის ამ უაღრესად მავნე გადმონაშთების აღმოფხვრა და დაძლევა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

პიროვნების კულტმა დიდი ზიანი მოგვაყენა იდეოლოგიური მუშაობის დარგში. თუ ავიღებთ ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის ნაშრომებს, რომლებიც დაწერილია პიროვნების კულტის გავლენით, ბევრი მათგანი წარმოადგენს ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა ციტატების ნაკრებს და მის ქება-დიდებას. პიროვნების კულტის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა ი. ბ. სტალინის „მოკლე ბიოგრაფია", რომლის რედაქტირება მისი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა. პიროვნების კულტით ბევრად არის გაჟღენთილი აგრეთვე წიგნი „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი". დოგმატიზმი და მედავითნეობა პირდაპირი შედეგია პიროვნების კულტის აყვავებისა, რომლის დროსაც მიაჩნდათ, რომ თეორიის განვითარება, წინ წაწევა, რაიმე ორიგინალურისა და ახლის გამოთქმა შეუძლია მხოლოდ ერთ ადამიანს — სტალინს, ხოლო დანარჩენებმა პოპულარიზაცია უნდა გაუკეთონ მის მიერ გამოთქმულ აზრებს, გადმოსცენ მისი ფორმულირებანი. ყოველივე ეს აფერხებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებას. ასეთ ვითარებაში უგულებელყოფილი იყო როლი პარტიის კოლექტიური აზრისა, რომელსაც წინ მიჰყავს თეორია, უკანა პლანზე აყენებდნენ, ღრმად არ სწავლობდნენ პარტიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განასახიერებენ პარტიის დიდ ისტორიულ გამოცდილებას, მის სიბრძნეს.

პიროვნების კულტის გარკვეული დაღი აზის აგრეთვე ხელოვნებისა და ლიტერატურის მთელ რიგ ნაწარმოებებს. ბევრი ჩვენი ისტორიული და განსაკუთრებით სამხედრო კინოსურათი, ლიტერატურისა და ფერწერის ნაწარმოები მიძღვნილია უმთავრესად სტალინის პიროვნების შექებისა და განდიდებისადმი. მაგალითად, სამხედრო კინოსურათებსა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში დღემდე არ არის სწორად გაშუქებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ჩვენი არმიისა და ხალხის როლი დიდ სამამულო ომში, რომლებსაც ეკუთვნით ჩვენი სამშობლოს დაცვის და ფაშისტური დამონების საფრთხისაგან მთელი კაცობრიობის გადარჩენის მსოფლიო-ისტორიული დამსახურება.

• • •

თეორიული და პრაქტიკული საქმიანობიდან პიროვნების კულტის გადმონაშთების აღმოფხვრა პარტიისა და ყველა მისი ორგანიზაციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, რათა გამოირიცხოს პიროვნების კულტის ამა თუ იმ ფორმით აღორძინების ყოველგვარი შესაძლებლობა.

ჩვენი ცხოვრებიდან პიროვნების კულტის ნაშთებისა და გადმონაშთების განდევნის დროს საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ ახსნაგანმარტებითი მუშაობა. პარტია გვასწავლის, რომ ამ დიდი და რთული მუშაობის განხორციელების დროს არ შეიძლება დავუშვათ უკიდურესობა და აჩქარება. სწორი არ იქნება წარმოვიდგინოთ, რომ საკმარისია ერთგვარი ადმინისტრაციული ღონისძიებანი განვახორციელოთ, და პიროვნების კულტს სამუდამოდ მოეღება ბოლო. შეუწყნარებელია აგრეთვე აჩქარება დიდი თეორიული საკითხების გადაჭრაში. იდეოლოგიური საკითხებისადმი ასეთ მიდგომას შეუძლია მხოლოდ ზიანი მოგვიტანოს. პიროვნების კულტის გადმონაშთების დაძლევა მოითხოვს ფართოდ გავაჩაღოთ და გავაუმჯობესოთ პროპაგანდა და აგიტაცია, მთელი ჩვენი იდეოლოგიური, თეორიული მუშაობა.

დიადი შთამაგონებელი და წარმმართველი საქმიანობა კომუნისტური პარტიისა, რომელსაც ლენინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა — აი ყველა ჩვენი წარმატებისა და გამარჯვების მიზეზი და წყარო. და სისულელე, თითქმის ცრუმორწმუნეობა იქნებოდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ჩვენი ისტორიული გამარჯვება მარტო ერთი კაცის ხელმძღვანელობის ნაყოფია, როგორც ეს ხდებოდა პიროვნების კულტის აყვავების პერიოდში. ყველა ეს გამარჯვება — ხალხისა და პარტიის უდიდესი გაქანების საქმიანობის შედეგი — მკაფიოდ გამოხატავს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც აღზრდილია მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, რომელსაც ნახევარი საუკუნის მუშაობის გამოცდილება აქვს და გამობრძმედილია რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში, აურაცხელი შემოქმედებითი ძალა მოეპოვება. ჯეროვნად აფასებს რა ი. ბ. სტალინის დამსახურებას, სათანადოდ აფასებს რა იმ დიდ წვლილს, რომელიც მან რევოლუციის საქმეში, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში შეიტანა, პარტიამ ამავე დროს მტკიცედ დააყენა სტალინის პიროვნების კულტის ლიკვიდაციის საკითხი, რათა სავსებით აღედგინა პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური პრინციპები და ნორმები და ამით საუკეთესო პირობები შეექმნა მთელი ჩვენი დიდი შემოქმედებითი საქმიანობისათვის კომუნიზმის მშენებლობაში.

ის ფაქტი, რომ პარტიამ მთელი პირდაპირობითა და სიმტკიცით დააყენა პრინციპული საკითხი პიროვნების კულტისა, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის, მოწმობს მის დიდ მორალურ და პოლიტიკურ ძალას, მისი ლენინური პრინციპების ურღვევობას, მის მჭიდრო კავშირს ხალხთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი ისტორიული გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა სწორი და ურყევია, რომ იგი იყო საბჭოთა ხალხის უდიდეს გამარჯვებათა წყარო, რომ იგი შეესაბამება მშრომელთა ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს, რომ იგი გვიჩვენებს ერთადერთ სწორ გზას კომუნიზმისაკენ, რომ იგი შთამაგონებელი მაგალითია მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ახალი ძალით ცხადყო პარტიის ურღვევი ერთიანობა, მისი დარაზმულობა ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ის, რომ პარტიის პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი.

პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ ფართოდ განმარტონ და განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც ყრილობამ დასახა.

XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის ჩვენს ხალხს ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში.

განაწილება დაიწყო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული გეგმები დასახა. ეს დიდი ღონისძიებები, განსაკუთრებით მზარდი სახალხო მეურნეობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში ყოველივე ეს უმაღლესი სასწავლებლებისა და კერძოდ ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე სერიოზულ ამოცანებს სახავს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხუთწლედის პირველ წელს ჩვენი უნივერსიტეტი სამშობლოს მისცემს ორმოცდაათზე მეტ სხვადასხვა სპეციალობის 1065 სპეციალისტს. წელს გამოშვებული ფიზიკოსები, გეოფიზიკოსები, მათემატიკოსები, მექანიკოსები, ქიმიკოსები, გეოლოგები, ბიოლოგები, ფილოლოგები, ისტორიკოსები და სხვა მრავალი სპეციალობის მქონე ახალგაზრდები სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის დიდ საქმეში.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობა გაიგზავნება ჩვენი რესპუბლიკის სკოლებსა და წარმოება-დაწესებულებებში, ამათგან მხოლოდ პედაგოგიურ სამუშაოზე გაიგზავნება ხუთასზე მეტი კაცი. მომავალ პედაგოგთა განაწილება 19 მარტიდან დაიწყო. ფიზიკის, მექანიკა-მათემატიკის, ქიმიის, ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა განაწილება თითქმის დამთავრდა.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი, განსაკუთრებით გეოლოგები და ეკონომისტები, გაიგზავნება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, დიდი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში, სადაც მათ მოუწოდებს მოვალეობა ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

ჩვენი კურსდამთავრებულების დიდზე დიდი უმრავლესობა უყოყმანოდ, ხალისით მიდის დანიშნულების ადგილებზე, იგი პირობას იძლევა, რომ თავისი უშრეტელი(?) და თავდადებული მუშაობით უპასუხებს იმ დიდ ზრუნვას, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენს ჩვენი ახალგაზრდობისადმი.

ფიზიკოსი ბ. ქლიბაძე სიამოვნებას გამოთქვამს იმის გამო, რომ იგი იმუშავებს ლენტეხის რაიონის სოფ. ჩოლურის საშუალო სკოლის მასწავლებლად. ფილოლოგი ნ. გალთოშვილი(?) სურვილს აცხადებს წავიდეს სამუშაოდ ახალქალაქის რაიონში, ხოლო ე. გოგოლაძე ასპინძაში მიემგზავრება მასწავლებლად. ა. ვგო- [illegible] და გ. [illegible] განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან გაემგზავრონ იქ, სადაც უფრო სჭირიათ მათი ყოფნა, სადაც თავიანთი შრომით მეტ სარგებლობას მოუტანენ სამშობლოს. ყველა ასეთი ფაქტის ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა.

უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ პარტიისა და სამშობლოს მიერ მათზე გაწეულ უდიდეს ზრუნვას. ისინი ყოველგვარ ზომას მიმართავენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ სამუშაოზე განაწილება. მათ ურჩევნიათ უსაქმოდ იხეტიალონ თბილისის ქუჩებში, ვიდრე წავიდნენ სამუშაოდ და სასარგებლო საქმეს მოჰკიდონ ხელი. ასეთმა ფაქტებმა განსაკუთრებით ფიზიკის ფაკულტეტზე იჩინა თავი. ამ ფაკულტეტის სტუდენტთა ძირითადი ნაწილი სრული ორგანიზებულობით შეხვდა განაწილებას. ფიზიკოსთა ახალი კადრები მასწავლებლებად იქნენ გაგზავნილი საქართველოს რაიონებში. მრავალი მათგანი გრძნობს რა მინდობილ მოწოდებას პედაგოგობისადმი, [illegible] გრძნობით ითვალისწინებს თავის მომავალს, რა წარმატებები მოელის მის მოღვაწეობას განათლების ფრონტზე. როგორ მოჰკიდებს იგი ხელს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, როგორ უნდა წარმართოს მან თავისი მუშაობა, რომ სამშობლოს მისცეს ცოდნით აღჭურვილი მომავალი მშენებლები. ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ძირითადი ნაწილის კარგი, პატრიოტული მოქმედება მაჩვენებელია იმისა, რომ ამ ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სრულყოფილი სპეციალისტების აღზრდას, ცოდნით შეიარაღებული და მაღალი შეგნების მქონე ახალგაზრდობის ჩამოყალიბებას. მაგრამ ფაკულტეტის ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, თავის მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ამჯერად ამ ნაკლოვანებებმა თავი იჩინეს იმაში, რომ აღნიშნული ფაკულტეტის რამდენიმე მეხუთეკურსელმა სტუდენტმა საბჭოთა ახალგაზრდისათვის ყოვლად შეუფერებელი საქციელი გამოავლინა. მაგალითად, კომკავშირლებმა ფ. მრაიმანმა(?), გ. ჩხაიძემ, რ. მნაცაკანოვმა და [illegible] სარიბეგოვმა(?) უარი განაცხადეს წასულიყვნენ სამუშაოდ [illegible] რაიონებში. ნ. ბოკუჩავას შესთავაზეს წასულიყო მასწავლებლად თბილისის გარეუბნის დილმის საშუალო სკოლაში. მან უარყოფის ნიშნად უპასუხისმგებლოდ ზურგი აქცია განმანაწილებელ [illegible] [illegible] რომელმაც [illegible] განაცხადა [illegible] სამუშაო სკოლაში წასვლაზე. თ. გრიგოლიშვილი კი [illegible] მასწავლებლად მუშაობაზე. ა. თუ[illegible] განაწყენება გამოიწვია წინადადებამ — წასულიყო სამხრეთ ოსეთის რომელიმე სკოლაში მასწავლებლად. [illegible] თავისი [illegible] საქციელით მან დაამტკიცა, რომ მართალია, იგი უნივერსიტეტში კურსიდან კურსზე გადადიოდა, მაგრამ საბჭოთა ახალგაზრდისათვის [illegible] მორალით ვერ აღიჭურვა.

ფიზიკის ფაკულტეტს ამთავრებენ ბ. კოკიშვილი(?) და მ. გოგიშვილი(?). ისინი ცოლქმარნი არიან და ჰყავთ ერთი შვილი. მათ შესთავაზეს ერთად წასულიყვნენ სამუშაოდ წითელწყაროს საშუალო სკოლაში — ერთ სკოლაში, რაიონის ცენტრში. იქვე შეეძლოთ მათ ერთ-ერთ საბავშვო ბაღში მიებარებინათ თავიანთი ბავშვი. ერთი სიტყვით ყველა პირობა გააჩნდათ აქ ნორმალური მუშაობისათვის, მაგრამ მათ არ ისურვეს წითელწყაროში წასვლა და მხოლოდ იმ უბრალო მიზეზით, რომ არ სურთ თბილისიდან გასვლა, არ უნდათ შეურიგდნენ რაიონში მუშაობას.

როგორც ჩანს, ამ სტუდენტებს მთელი სერიოზულობით ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული მათი მოვალეობა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. მათი საქციელი მით უფრო დასაგმობია, რომ ისინი კომკავშირლები არიან და ამდენად მხოლოდ კარგი ნიმუშის მიმცემი უნდა ყოფილიყვნენ სხვებისათვის.

ფიზიკის ფაკულტეტის კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციები და დეკანატი სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ ფაქტებს. მაშინ როდესაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი ენთუზიაზმითა და პატრიოტული გრძნობით აღფრთოვანებული მიემგზავრება სამუშაოზე, რატომ ვხვდებით საწინააღმდეგო გამოვლინებების შემთხვევებს ფიზიკის ფაკულტეტზე? უნივერსიტეტის ჯანსაღი კოლექტივი თავის შემდგომ მუშაობაში ვერ აიტანს მსგავს ფაქტებს.

ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც უყვარს თავისი საქმე, პატივს სცემს თავის სპეციალობას და ახსოვს მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს.

უ. ოთარაშვილი

ისტორიის ფაკულტეტის დიპლომანტი სტუდენტი გ. ცხადიაშვილი ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისიდან შეუდგა სადიპლომო შრომაზე მუშაობას.

ენერგიულმა შრომამ ნაყოფი კარგი გამოიღო, ხელმძღვანელის სისტემატური დახმარებით სადიპლომო შრომა დროულად დაამთავრა.



სურათზე: ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი გ. ცხადიაშვილი დიპლომზე მუშაობის დროს.

მუშაობენ საკურსო თემაზე

მალე ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები პირველად დაიცავენ საკურსო შრომებს ქართულ ენაში. თემები მათ დროულად დაურიგდათ და კონსულტაციებიც დაენიშნათ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სტუდენტები თავიანთ საქმეს. სტუდენტების უმრავლესობა გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას. თავისი ბეჯითობით გამოირჩევიან თ. გვერდწითელი, ვ. ცალქალმანიძე, ქ. ჩუხრუკიძე, მ. ასათიანი და თ. სიხარულიძე, რომლებსაც საკურსო შრომებთან დაკავშირებული ძირითადი სამუშაოები უკვე დამთავრებული აქვთ. მაგრამ არიან ისეთი სტუდენტებიც (ჯ. დადეევი, ა. გელაშვილი, თ. ფაფერაშვილი, დ. მენაბდე, ლ. ახობაძე, ნ. ზურიაშვილი), რომელთაც მუშაობის დაწყებაზე არც უფიქრიათ.

იმ სტუდენტებმა, რომლებიც შრომით თავს არ იწუხებენ და მხოლოდ უკანასკნელ დღეებში აპირებენ მუშაობის დაწყებას, უნდა იცოდნენ, რომ მოკლე დროში და ნაჩქარევად შესრულებული შრომა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

დროა აქედანვე შეუდგნენ ისინი გულმოდგინე მუშაობას.

ა. გელავა

შეხვედრა ლიტერატურათმცოდნეებთან

ამასწინათ რუსული ლიტერატურის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ მოაწყო შეხვედრა გამოჩენილ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებთან — ა. დემენტიევთან, ლ. პლოტკინთან, ა. პეშკოვთან და ბ. ქლენტთან. შეხვედრას, წრის წევრთა გარდა, ესწრებოდნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, ასპირანტები, რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის წევრები. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგემ ვ. შადურმა.

სტუმრები სტუდენტებს ესაუბრნენ საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე.

ი. ბოგომოლოვი

1951 წელს გაზეთ „სახალხო განათლებაში" გამოვაქვეყნეთ ცნობა უცნობი ავტორის პოეტიკურ ნაშრომზე — „ქართულისა პოეზიისათვის", ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ეს შრომა სათანადო კომენტარებით შევიტანეთ „ქართული პოეტიკის ქრესტომათიაში" (1954 წ.). ძველ ქართულ ხელნაწერებზე მუშაობისას ჩვენთვის ცნობილი გახდა აღნიშნული პოეტიკური შრომის კიდევ ორი ხელნაწერი.

„ქართულისა პოეზიისათვის" შემონახულა საქართველოს ცენტრარქივის ერთ-ერთ ხელნაწერს (ფონდი 233, ხელნ. № 68). ეს ხელნაწერი წარმოადგენს ანტონ კათალიკოსის „რიტორიკას". ხელნაწერის აღმწერლებს ხელის მიხედვით იგი XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედისად მიუჩნევიათ („ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა", ტ. 1, 1949 წ., გვ. 69), ნამდვილად კი „რიტორიკა" გადაწერილია XIX საუკ. პირველ მეოთხედში. ამაზე აშკარად მიგვითითებს ქაღალდის ჭვირნიშანი, სადაც იკითხება „1815". ანტონ კათალიკოსის „რიტორიკას" თან დართული აქვს ჩვენთვის საყურადღებო ძეგლი ასეთი სახელწოდებით — „პოეზისათვის", (ფ. 34-37).

ანონიმის პოეტიკური შრომის მეორე ხელნაწერი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (S 5065). იგი გადაწერილია ალექსანდრე ყორღანაშვილის (ყორღანოვის) მიერ 1819 წელს. ქაღალდის

შენიშვნები ზოგიერთი პოეტიკური შრომის შესახებ

ზომა: 17,5×21,5 სმ. შედგება 4 ფურცლისაგან. ტექსტი დაწერილია მხედრული ხელით, შავი მელნით, ცისფერ სქელ ქაღალდზე. სათაურები, ქვესათაურები და ზოგიერთი სიტყვა დაწერილია ასომთავრული ხუცურით. ხელნაწერში, ვხვდებით ქარაგმებსა და ე. წ. ზედმეტ ასოებს. ქაღალდის ჭვირნიშანია: ერთ ფურცელზე—გვირგვინში მდგარი ლათვი, ხარით ხელში, ხოლო მეორეში იკითხება: „RDRM" ტექსტი დაწერილია კითხვა-მიგების სახით. ყველგან შემოკლებულად სწერია: „კი" და „მი" (ე. ი. კითხვა" და „მიგება") ხელნაწერი ბოლონაკლულია, შეიცავს თხზულების მხოლოდ პირველ ორ თავს.

ხელნაწერის თავფურცელზე ვკითხულობთ: „ქართული პოეზია. ესე «ქართული პოეზია» ეკუთვნის აზნაურს ალექსანდრეს ყორღანოვს.

დავიწყე წერა პოეზიისა 1819-სა წელსა, მაისის თოთხმეტს დღეს, სადილ[ს] უკან მეოთხე საათში".

დასახელებული ხელნაწერები საყურადღებოა იმით, რომ ისინი ასწორებენ გამოქვეყნებული ტექსტის მცდარ და დაუზუსტებელ ადგილებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრარქივის ხელნაწერი იძლევა მეორეოდენ დამატებებსაც.

* * *

ცნობილია, რომ რუსმა ისტორიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ ე. ბოლხოვიტინოვმა 1802 წ. პეტერბურგში დაბეჭდა წიგნი, რომლის სრული სათაურია: „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии".

დასახელებული წიგნის მეშვიდე თავი შეეხება ქართული ლექსწყობის საკითხებს. ამ შრომით ადრევე დაინტერესებულან საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის თარგმანი (S 5124). ტექსტი ნაწერია ორ სვეტად: მარცხნივ სწერია რუსული ტექსტი, ხოლო მარჯვნივ — მისი შესატყვისი ქართული თარგმანი. სამწუხაროდ, გაურკვეველი მიზეზების გამო, თარგმნილია შრომის მხოლოდ ნაწილი, რაც გამოც ჩვენთვის საინტერესო ტექსტი გადაუთარგმნელი დარჩენილა. შრომის ამ ნაწილის სათაური კი სარჩევში ასეა ნათარგმნი: „ქართულის ლექსთხზულებისა და მუსიკისათვის" (ფ. 8 V). მთარგმნელ-გადამწერი უცნობია. უცნობია აგრეთვე თარგმნის დრო.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი მაშინვე უთარგმნიათ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ამ შრომით დაინტერესებულა აკად. მ. ბროსე. მან შეკითხვით კი გაუგზავნია ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მწიგნობრის თეიმურაზ ბატონიშვილისათვის იმის შესახებ, თუ რა აზრისაა თეიმურაზი ე. ბოლხოვიტინოვის წიგნში გაშუქებულ „ვეფხისტყაოსნის" ლექსწყობის საკითხებზე.

ე. ბოლხოვიტინოვის დასახელებული წიგნი აკად. მ. ბროსემ გამოიყენა ერთ თავის მეტად საყურადღებო შრომაში. 1830 წლის ფრანგულ ჟურნალში მან დაბეჭდა წერილი, რომელიც შემდეგამავე წელს, ცალკე წიგნადაც გამოვიდა („ქართული მაირობისათვის. De la poésie Géorgienne. Par Brosset Jeune, Membre de la société royale Asiatique de France". Paris, 1830). ამ ნაშრომის შესახებ ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

* * *

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომის — „ვეარნი ანუ საზომი ქართულისა ენისა სტიხთას" — შემოკლებული პირი. ის შეტანილია ხელნაწერ კრებულში, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ავტორის თხზულებების ერთად აკინძულ წიგნს (S 3723). თეიმურაზის ნაშრომი მოთავსებულია ხელნაწერი კრებულის პირველ გვერდზე და ეწოდება: „მაირობისათვის, — მეფის ძის თეიმურაზის სტატი [ი]საგან" (ფ. 1-6). ეს შრომა აქ მოხვედრილია პროფ. დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკიდან. ეს ის ხელნაწერია, რომელიც დ. ჩუბინაშვილის ხელნაწერების სიაში დასახელებული აქვს პროფ. ალ. ცაგარელს („Сведения", т. I, вып. 3, 1894 г. стр. 126), როგორც ირკვევა, აღნიშნული ხელნაწერი დავით ჩუბინაშვილის ავტოგრაფია. ჩუბინაშვილს გადაუმუშავებია თეიმურაზ ბაგრატიონის პოეტიკური ნაშრომი, გადაუკეთებია და შეუცვლია ქართულ ლექსთა სახეების განმარტებები. მეხამბაზის საილუსტრაციოდ მოუცია საიათნოვას ლექსი „მე საწყალი ჩემო თავო, რა იქენ" და ა. შ. მოცულობის მიხედვით ეს ტექსტი თეიმურაზის შრომისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მასში შეკუმშულადაა წარმოდგენილი მთელი რიგი განმარტებები და საილუსტრაციო მასალა.

თეიმურაზის ამ შრომით სარგებლობს პროფ. დ. ჩუბინაშვილი „საზომი ლექსთას" დაწერისას: იგივეა საილუსტრაციო მასალა, იგივეა განმარტებები.

საყურადღებოა, რომ პროფ. დ. ჩუბინაშვილის ნაშრომით უსარგებლია პროფ. ალ. ცაგარელს. მის ნაწერებში მოიპოვება ჩუბინაშვილის „საზომი ლექსთას" პირი (A 1753, ფ. 33), რომელიც ოდნავ შეცვლილია. ასე მაგალითად, ცაგარლის ხელნაწერში შეცვლილია ქართულ ლექსთა სახეების რიგი და სხვ.

პროფ. ალ. ცაგარლის მიერ დ. ჩუბინაშვილის შრომის გადაწერილი პირი ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ პროფ. ალ. ცაგარელი დაინტერესებული ყოფილა ქართული ლექსწყობის საკითხებით.

ზ. მიქაძე

რედაქტორი ირ. ვეფხაძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-85-80.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 01856.